სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება №133

ქ. თბილისი 30 აგვისტო 2018წ.

2018 წლის საკონფერენციო გრანტების კონკურსში გამარჯვებული განაცხადების დამტკიცების შესახებ

„საკონფერენციო გრანტების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 9 ვლისის N149 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „2018 წლის საკონფერენციო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 23 20 ივლისის №104 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, „ვ“ ქვეპუნქტის ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე“ და „ჟ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათის (N1057123, 30.08.2018) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 2018 წლის საკონფერენციო გრანტების კონკურსში გამარჯვებული განაცხადები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. გამარჯვებული პროექტების წამყვანმა ორგანიზაციებმა არაუგვიანეს 2018 წლის 15 სექტემბრისა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში (შემდგომში - ფონდი) უნდა წარმოადგინონ:

   ა) წამყვანი და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციის მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები – ამ პროექტისათვის გახსნილი ლარის საბანკო ანგარიშის ნომერი, რომელზეც ჩაირიცხება გრანტის თანხა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

   ბ) ცნობა იმის შესახებ, რომ წამყვან და თანამონაწილე (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში) ორგანიზაციებს არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე;

გ) თანადაფინანსების ცნობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი – თუ ცნობის ორიგინალი უცხოენოვანია, მას თან უნდა ერთვოდეს ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

3. დაევალოს ფონდის იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტს გამარჯვებული განაცხადის წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2018 წლის 30 სექტემბრისა.
4. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ჯაბა სამუშია

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

დამტკიცებულია
სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2018 წლის 30 აგვისტოს N133 ბრძანებით

2018 წლის საკონფერენციო გრანტების კონკურსში გამარჯვებული პროექტები

შიფრი	კონფერენციის სახელწოდება	წამყვანი ორგანიზაცია
CG18_13	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სიმსივნის იმუნოთერაპია და იმუნომონიტორინგი	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
CG18_26	დავით გარეჯი: მრავალდარგობრივი კვლევა და განვითარების სტრატეგია	ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი (GACC)
CG18_2	მესამე საერთაშორისო კონფერენცია "გამოყენებითი მათემატიკის თანამედროვე პრობლემები	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
CG18_21	ICOM CECA-ს 2018 წლის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მუზეუმები, განათლება და კულტურული აქტივობა: ძველსა და თანამედროვე მნიშვნელობებს შორის	ააიპ იკომის საქართველოს ეროვნული კომიტეტი (ICOM საქართველო)